სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობა“

მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

სპეციალობა - მუსიკის თეორია

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 61-100.

სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურს სპეციალობაში.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

I ეტაპი (წერა)

აბიტურიენტს მოეთხოვება სამი შემოთავაზებული ნაწარმოებიდან ერთ-ერთის გაანალიზება. სამუშაო დრო 4 ასტრონომიული საათი.

აბიტურიენტმა დამოუკიდებლად უნდა შეარჩიოს ანალიზის მიმართულება და რაკურსი. მას შეუძლია გაამახვილოს ყურადღება შემდეგ პრობლემატიკაზე:

1. ნაწარმოების ისტორიულ-სტილური მიმართების დადგენა;
2. შინაარსის ემოციური, ჟანრული, ეროვნული მახასიათებლების განსაზღვრა; კომპოზიციური, ჰარმონიული, ფაქტურული თვისებების გამოვლენა;
3. ზოგადსტილური დახასიათება მუსიკალურ-ენობრივი პარამეტრების განსაზღვრით;
4. ანალიზის პროცესში დადგენილი ფაქტების არსის გახსნა.

II ეტაპი (ზეპირი)

მცირე ფორმატის გასაუბრება აბიტურიენტის მიერ გაანალიზებული ნაწარმოებისა და მის მიერ შესასრულებელი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემატიკის ირგვლივ.